პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 110 (10504)

შაბათი, 12 მაისი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს (1-ლი გვერდი).

თბილისიდან გაემგზავრა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი (1-ლი გვერდი).

რეპორტაჟი. — **ს. ხარაზიშვილი.** — ახალი ჩარხი აწყობილია! (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **ზ. მებზევიშვილი.** — ღრმად შევისწავლოთ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები და მასალები (მე-2 გვერდი).

საკდესის განცხადება (მე-2 გვერდი).

ლ. ლოლაძე. — ცუდად მოემზადნენ, თესვაში ჩამორჩნენ (მე-2 გვერდი).

ი. თოფურია. — აბაშის რაიონში (მე-2 გვერდი).

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად. — **გ. გველესიანი.** — სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება და მისი შემცირების გზები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ა. კუსრაშვილი, დ. პაიჭაძე. — [illegible] ტებზე (მე-3 გვერდი).

უკარგავი მუშაკეები სტუმრად ტყიბულელებთან (მე-3 გვერდი).

ფერილი რედაქციას. — **გ. მინდაძე.** — მეტი ყურადღება ბაღებისა და პარკების კეთილმოწყობას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქართველოს ენერგეტიკოსი მშენებლების საბრძოლო ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ჩვენს ენერგეტიკოს მშენებლებს დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანები დაუსახა. მათ უნდა დააჩქარონ მშენებლობის ტემპი, უზრუნველყონ მშენებლობის ღირებულების შემცირება, იმ შეუსაბამობის საბოლოო ლიკვიდაცია, რაც არსებობდა სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ენერგეტიკული მეურნეობის განვითარების ტემპებს შორის და რაც განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობოდა ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბოლო ხანებამდე.

ელექტროენერგიის გამოყენების ფარგლები მეექვსე ხუთწლედში, როგორც ცნობილია, დიდად ფართოვდება. გაიზრდება ელექტროდენის მოხმარება შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, კერძოდ, მისი უმაღლესი საფეხურის — წარმოების პროცესების ავტომატიზაციის განსახორციელებლად, რკინიგზის ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების მუშაობის გასაუმჯობესებლად, მოსახლეობის კომუნალურ და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამასთან განხორციელდება ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაცია, ელექტროდენის ქიმიურ და თერმულ მოქმედებაზე დამყარებული ელექტროტექნოლოგიური პროცესების გამოყენება მეტალურგიაში, ქიმიაში, მანქანათმშენებლობასა და მრეწველობის ყველა დარგში.

სახალხო მეურნეობაში ელექტროენერგიის გამოყენების ფარგლების ასე დიდად გაფართოება საბჭოთა ენერგეტიკოსი მშენებლების წინაშე დიდ და მეტად პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს. ითავარი აქ ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით დავაჩქაროთ ახალი სიმძლავრეების მწყობრში ჩაყენება, შევამციროთ მშენებლობის ვადები, უზრუნველვყოთ ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ ენერგეტიკული მეურნეობის განვითარება წინ უსწრებდეს სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებას.

საქართველოს ენერგეტიკოს მშენებლებს ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი მოეთხოვებათ. მეექვსე ხუთწლედში მათ გიგანტური მასშტაბის სამუშაოთა შესრულება მოუხდებათ. მათ უნდა აააშენონ და მწყობრში ჩაყენონ მთელი რიგი მძლავრი ჰიდროცენტრალები, უნდა შეუდგნენ ახალი მძლავრი ჰიდროცენტრალის მშენებლობას მდინარე რიონზე, მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგურის აგებას მდინარე თერგზე, დარიალის ხეობაში. მარტო დარიალჰესის მშენებლობაზე მათ მოუხდებათ შესასრულონ 12 მილიონი კუბმეტრი მიწისა და კლდის, ნახევარი მილიონი კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები, გამართონ 30 ათასი ტონაზე მეტი ლითონკონსტრუქციები. ეს მოითხოვს საშენი მასალის დიდ რესურსებს, მძლავრი სამშენებლო ტექნიკის კონცენტრაციას და სამუშაოთა რაციონალურად მოწყობას.

საქართველოს ენერგეტიკოსი მშენებლების მუშაობის ყველაზე სუსტი მხარეა სამუშაოთა არარაციონალურად მოწყობა, ძალების ბიზანშეუწონლად გამოყენება, რასაც შედეგად მოაქვს სამუშაოთა გაჭიანურება, ზოგ შემთხვევაში ახალ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ამუშავებისათვის დაწესებული ვადების ჩაფუშვა. ამ ცოტა ხნის წინათ, 22 აპრილს, გუმათჰესელმა მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატი, თუნცა მათ ყველა პირობა ჰქონდათ იმისათვის, რომ ეს აგრეგატი უფრო ადრე ამუშავებინათ. ასევე გაჭიანურდა ბეჟუჰესის მშენებლობა და არის მთელ რიგ სხვა ენერგეტიკულ სამუშაოთა გაჭიანურების ფაქტები.

საქართველოს ენერგეტიკოსმა მშენებლებმა წელს უნდა უზრუნველყონ მრავალ ათეულ ათას კილოვატამდე ახალ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ამუშავება, რაც დიდი გამარჯვება და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძვირფასი შენაძენი იქნება. წელს ჩვენმა ენერგეტიკოსმა მშენებლებმა და მემონტაჟეებმა უნდა აამუშაონ ტყიბულჰესი სრული სიმძლავრით, დაამთავრონ ბეჟუჰის ჰიდროელექტროსადგურისა და № 2 გუმათჰესის სრული სიმძლავრით ამუშავება, გააფართოონ ტყვარჩელისა და რუსთავის თბოსადგურები, აამუშაონ ბოლო აგრეგატი ორთაჭალჰესზე და ამის პარალელურად შეუდგნენ მზადებას დარიალჰესის მშენებლობის დასაწყებად, დაჩქარონ შემდგომ წელს ასამუშავებელ სიმძლავრეთა მშენებლობა.

დიდი და მეტად პასუხსაგები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეასრულონ წელს ლაჯანურჰესის, სიონმშენის და მეორე ხრამჰესის მშენებელთა კოლექტივებმა. ამას მხოლოდ იმ პირობით შეძლებენ, თუ უფრო გაბედულად შეუდგებიან ტექნიკური სიახლეებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას, განსაკუთრებით გვირაბმშენებლობაში. ამისათვის მშენებლებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ ბეტონისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები. ახლა გვირაბების მოპირკეთებაზე ზოგ ქვეყანაში წარმატებით იყენებენ რკინაბეტონის ტიუბინგებს. რატომ არ შეიძლება ასეთი ტიუბინგები ჩვენმა მშენებლებმაც გამოიყენონ?

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მოწინავე გვირაბმშენებლების გამოცდილების გავრცელებას. სახელოვანმა ლაჯანურჰესელმა გვირაბმშენებლებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ა. ნიმუტას, ა. ოლეინიკოვისა და ო. ბლიაძის ბრიგადები, შეძლეს გვირაბის სანგრევი ხაზის წინწაწევის მიღწევა დღეღამის განმავლობაში 6 გრძივი მეტრით, ხოლო ზოგ დღეებში 8-9 გრძივი მეტრით. ეს საუკეთესო მაჩვენებლები არის მიჩნეული გვირაბმშენებლობის პრაქტიკაში. ამოცანა ახლა ის არის, რომ ლაჯანურჰესელთა ჩქარსინული მუშაობის ეს გამოცდილება დავნერგოთ ყველა მშენებლობაზე, გვირაბმშენებელთა ყველა ბრიგადაში.

მთავარი შეფერხება, რაც ხელს უშლის საქართველოს ენერგეტიკოსი მშენებლების მუშაობას, არის კვალიფიციურ მშენებელთა ნაკლებობა, ავტოტრანსპორტის გაუმართავი მუშაობა და სამშენებლო მექანიზმებისათვის სათადარიგო ნაწილების მოუმარაგებლობა. სადღეისო გადაუდებელი ამოცანაა მშენებლობათა უზრუნველყოფა კვალიფიციური მუშახელის მუდმივი კადრებით. ამ საქმის მოწესრიგებაში საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ სხვა ორგანიზაციებმაც. საჭიროა გახანგრძლივდეს კლემენტინობებიდან გაგზავნილების მშენებლობებზე დარჩენის ვადები. უნდა გვახსოვდეს, რომ მუდმივი კვალიფიციური კადრების შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათთვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, კულტურული დასვენების მოწყობას.

ენერგეტიკოს მშენებლებს დახმარება ესაჭიროებათ ავტოტრანსპორტის პარკის გამოყენებაშიც. ამჟამად ავტომანქანების საგრძნობი ნაწილი არ მუშაობს საბურავების უქონლობის გამო, 25-ტონიანი ავტომანქანები უკვე კარგა ხანია გამცდარი არიან ამ პიზნით.

მეექვსე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულება, მძლავრი ჰიდროცენტრალების მშენებლობის წარმატებით განვითარება, ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა ძირითადად დამოკიდებულია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ მშენებლებისათვის დახმარების გაწევაზე, მშენებელი კომუნისტების აქტივობაზე, მასების შემოქმედებითი ინიციატივის უნარიანად გამოყენებაზე, მშენებელთა სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოქნილობაზე, მათ ორგანიზატორულ მუშაობაზე.

მეექვსე ხუთწლედში ენერგეტიკოსი მშენებლების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ საქართველოს ენერგეტიკოსებმა. ეს არის მათი შრომითი სიმამაცისა და პატრიოტული ღირსების ამოცანა.

სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს

★

მეზღაპრეთა ქალაქში

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. სურათზე: საამქროს აგიტატორი ა. ქვლივიძე მუშებს აცნობს სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს. ფოტო შ. გოჭაძისა.

◁ ★ ▷

ერთსულოვანი მოწონებით

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი დიდი გულისყურით განიხილავენ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს.

მოსამზადებელ საამქროში საგიტაციო საუბრების დროს მუშები გამოთქვამდნენ ღრმა კმაყოფილებას და მადლობას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ასეთი ზრუნვისათვის.

— სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი, — განაცხადეს პენსიონერმა მუშებმა ქ. ზაპოლსკაიამ და დ. ხომაშურიძემ, — ადამიანებისადმი ყოველდღიური ზრუნვის ნათელი დადასტურებაა, მას ძირეული გაუმჯობესება შეაქვს ჩვენი საპენსიო უზრუნველყოფის საქმეში.

მოწონებას მჭელავმა ე. ალექსანდროვამ, გაეცნო რა კანონის პროექტს, ვალდებულება იკისრა მეორე კვარტალის საწარმოო დავალება 125 პროცენტით შეასრულოს.

ჭიათურელ მაღაროელთა პასუხი

ჭიათურა. (საკ. კორ.). სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს გულდასმით ეცნობიან და მხურვალედ იწონებენ ჭიათურელი მაღაროელები.

სტალინის სახელობის მაღაროს ძველმა მუშამ ლენინის ორდენოსანმა ს. ოთინაშვილმა პროექტის გაცნობის შემდეგ კმაყოფილებით განაცხადა:

— სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი წარმოადგენს მშრომელთა კეთილდღეობისათვის მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ახალ გამოხატულებას. ჩვენ, მაღაროელები, ამ ზრუნვას თავდადებული შრომით ვუპასუხებთ, სამშობლოს სულ უფრო მეტი რაოდენობით მივცემთ მარგანეცს.

ერთსულოვნად იწონებენ რა კანონის პროექტს, მაღაროელები, კოლმეურნეები, ქალაქის ინტელიგენცია აძლიერებენ შრომას საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად.

რწმენით შეეყურებთ მომავალს

ხაშური. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს, აღფრთოვანებით იწონებენ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელშიც მკაფიოდ არის გამოხატული პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის.

დამსახურებულმა პედაგოგმა, ხაშურის რკინიგზის მე-13 საშუალო სკოლის მასწავლებელმა კ. ნორაძემ — ღრმად შევისწავლოთ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები და მასალები (მე-2 გვერდი).

საკდესის განცხადება (მე-2 გვერდი).

ლ. ლოლაძე. — ცუდად მოემზადნენ, თესვაში ჩამორჩნენ (მე-2 გვერდი).

ი. თოფურია. — აბაშის რაიონში (მე-2 გვერდი).

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად. — **გ. გველესიანი.** — სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება და მისი შემცირების გზები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ა. კუსრაშვილი, დ. პაიჭაძე. — [illegible] ტებზე (მე-3 გვერდი).

უკარგავი მუშაკეები სტუმრად ტყიბულელებთან (მე-3 გვერდი).

ფერილი რედაქციას. — **გ. მინდაძე.** — მეტი ყურადღება ბაღებისა და პარკების კეთილმოწყობას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ამ კანონის პროექტი გაცნობისადმი მიძღვნილ საუბრებზე ქალაქის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები ღრმა კმაყოფილებას გამოთქვამენ და ვალდებულებას კისრულობენ კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მადლობა პარტიასა და მთავრობას

თითქმის 25 წელია ქარხანაში ვმუშაობ. მალე 60 წელი შეესრულდება. კმაყოფილი ცხოვრება მაქვს. დამშვიდებით შევყურებ ჩემს ხვალინდელ დღესაც, რადგან ვიცი, რომ მოხუცებულობაში ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ვიქნები. ჩემი პენსია 700 მანეთს გადააჭარბებს. ამას უნდა ვუმადლოდე მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომელთა მოღვაწეობის უმაღლეს კანონს წარმოადგენს ხალხისადმი სამსახური, მისი კეთილდღეობისათვის განუწყვეტელი ზრუნვა.

ამ ზრუნვას ერთხელ კიდევ მკაფიოდ დასტურებს სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი. მალე იგი კანონად გადაიქცევა.

ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვით აღფრთოვანებული, ძალების დაუზოგავად ვიმუშავებ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

რ. ბაშალეიშვილი,
სტალინის სახელობის ბათომის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი.

თბილისიდან გაემგზავრა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი

საქართველოში ორ დღეს იყო სტუმრად საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელშიც შედიან: პარტიის გენერალური მდივანი პიერ კომენი (დელეგაციის მეთაური), პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი ანდრე ფილიპი, ეროვნული კრების დეპუტატი რობერ ვერდიე, პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი მარსო პიერი, პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი, ეროვნული კრების დეპუტატი რობერ კუტანი და პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი, საფრანგეთის კავშირის კრების წევრი ორესტ როზენფელდი.

გუშინ, 11 მაისს, სტუმრები თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრნენ. მათ გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები დ. ჯ. მკედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები მ. მ. ლელიშვილი და ა. ნ. ინაური, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. უ. ჯაში, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. ა. კვესელავა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

ფრანგი სტუმრები მიესალმებიან გამცილებელთ. ისინი მადლობას იხდიან მეგობრული მიღებისათვის, ამბობენ, რომ მათ გულთბილი, სასიამოვნო მოგონება დარჩებათ საქართველოში ყოფნისაგან, კერძოდ ქართული ხელოვნების მოღვაწეთა მშვენიერი ოსტატობის გაცნობისაგან.

მიმართავენ რა აეროდრომზე მყოფ საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელებს ნ. რამიშვილსა და ი. სუხიშვილს, პიერ კომენი და ანდრე ფილიპი ამბობენ:

— ანსამბლის მსახიობებმა ოტაციებში მოგვიყვანეს თავიანთი ცეკვით. ასეთი მშვენიერი მხოლოდ ხალხური ხელოვნება შეიძლება იყოს.

მარსო პიერმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ მოხდეს ხელოვნების კულტურის მუშაკთა დელეგაციების გაცვლა, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.

დილის 8 საათია. სტუმრები თვითმფრინავსაკენ მიდიან. მეგობრული ხელისჩამორთმევა. თვითმფრინავი მოსკოვისაკენ იღებს კურსს.

(საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია

10 მაისს საბჭოთა კავშირში ათი დღის ყოფნის შემდეგ, მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა დელეგაცია საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებიც მშვიდობისა და გენიარაღებისათვის იბრძვიან. დელეგაციას მეთაურობდა საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე ემანუელ დ'ასტიე დე ლა ჟიეერი. ფრანგი სტუმრები გაეცნენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, მონაწილეობა მიიღეს საპარლამენტო დღესასწაულში მოსკოვში, იყვნენ ლენინგრადსა და კიევში.

გამგზავრების წინ — 9 მაისს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა საფრანგეთის დელეგაციის პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები. სტუმრებს შორის იყო საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ანამარე სუტუ. (საკდესი).

საბურთალოს აგურის ქარხნის კოლექტივს — საკავშირო პრემია და დროშა

საბურთალოს აგურის მექანიკური ქარხნის კოლექტივის სახელზე სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროდან მიღებულია ცნობა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ქარხნის კოლექტივი აღიარებულია სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მიკუთვნებული აქვს პირველი საკავშირო პრემია — 28.000 მანეთი.

მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მოპოვებისათვის ქარხნის კოლექტივს ზედიზედ მეექვსედ მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

რეპორტაჟი

ახალი ჩარხი აწყობილია!

ჩარხების ყრუ, გაბმული ხმაური და შეუმშრალი საღებავის სუნი ჩაგუბებულა ვრცელი კორპუსის მაღალ თაღებქვეშ. სადამდისაც თვალი გასწვდება, ყველგან მოჩანს მანქანები: ცალკე — მომუშავე, ცალკე — ახალაწყობილი, ზოგან კვანძებად შეკრული, ზოგან ნახევრადდამონტაჟებული. ტევა არ არის, ფეხს ვერ აუქცევ. ჩარხებს შორის მოძრაობენ საქმით გართული ადამიანები.

აქ ადამიანები და მანქანები სახარატო ჩარხებს აკეთებენ. ის ჩარხები კი ახალ მანქანებს ქმნიან. ამიტომ ამბობენ, მანქანათმშენებლობა ინდუსტრიის გულიაო.

ამ კორპუსის ჭერქვეშ რამდენიმე საამქროა განლაგებული. მაგრამ მთელი ქარხნის კოლექტივის ყურადღება ახლა მესამე ამწყობი საამქროს იმ უბნებზეა მიჯაჭვული, სადაც ახალ ჩარხს „163“-ს აწყობენ.

„ვირა“ — ასწი!, „მაინა“ — დასწი! — ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოების რაღაც დაუწერელი კანონის მიხედვით საერთაშორისო გამოთქმებად ქცეული ეს სიტყვები. მეამწე გოგონას ამ შეძახილებზე აკვს და ჩამოაქვს ორფა ჯაჭვზე დაკიდებული ნაწილები.

ვინ არ არის ახლა აქ? მარტო ამ საამქროს დანარჩენი უბნებიდან კი არ მოსულან ცნობისმოყვარეები, არა, სხვა საამქროებიდან და ქარხნის სამმართველოდანაც, ვინც კი ამ დროს თავისუფალი იყო.

... ქარხნის მთავარი ინჟინერი მიხეილ წეროძე თავზე დასდგომია ოსტატ შალვა შოშიაშვილის ამწყობ-ზეინკლების ჯგუფს, რომელიც კარტაზე მუშაობს. ზეთში გათხუპნილ ხელებს ინჟინერი ძენძზე იმშრალებს.

ტალ მუხლზე ჩაჩოქილი აგრიზკოვი ქვევიდან უჭერს ჭანჩოებს და თან თანაბოლ ჭაბუკს რაღაც სასაცილოს უყვება.

— მორჩით ოხუნჯობას, რა დროს ეგ არის! — შეუტია საამქროს უფროსმა კანდელაკმა.

მეორე ადგილას მიწოდების კოლოფს აწყობენ. სხვებთან ერთად მუშაობაში ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსი გოგოლაძე და ტექნოლოგიური ლაბორატორიის უფროსი ივანე ქურდაძე ჩაბმულან.

მათ მახლობლად სიჩქარეთა ყუთის მონტაჟს ამთავრებენ. რაღაცას ჩაჭკირკიტებს კონსტრუქტორი აბესაძე. უბანსა და უბანს შორის დადიან, არა, კი არ დადიან, დარბიან მთავარი ტექნოლოგის მოადგილე გიორგი ხოჭოლავა და ახალგაზრდა ინჟინერი ნიკო ბაქრაძე. ძნელია გაარჩიო, ვინ არის მუშა და ვინ უფროსი. ყველას დაუმკლავებია, ყველა რაღაცას აკეთებს.

სახარატო ჩარხი „163“, რომლის აწყობაზე ახლა დაძაბულად შრომობენ თბილისელები, დააპროექტეს რიაზანის ჩარხმშენებელი ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც უფროსად ალექსანდრე მოსეშვილია. ახალ ჩარხს მრავალი უპირატესობა აქვს თავის წინამორბედ „1დ63ა“-სთან შედარებით. იგი წუთში 650-ის ნაცვლად 1.250-ჯერ იბრუნებს. მისი ძრავა 50 პროცენტით უფრო მძლავრია, წინსაფარი ელექტრობით იმართება, გარდა ამისა, რაც საყურადღებოა, იგი აღჭურვილია ჰიდროგადამღები სუპორტით. ამ ჩარხს ლითონისაგან პირველად თბილისის კიროვის სახელობის ქარხანაში აკეთებენ.

... ჩარხი თანდათან იღებს სრულ სახეს: სადგარს კარეტა მოარგეს. წინსაფარი დაუყენეს. სიჩქარის კოლოფი დაადგეს. ბოლოს უკანა ვეგი გამართეს...

აი თურმე როგორია ახალი უნივერსალური სახარატო-ხრახნმჭრელი ჩარხი!

ზოგი შორიახლო ათვალიერებს, ზოგი ხელით სინჯავს მას.

სათვალიანმა ხნიერმა კაცმა პაპიროსი ჩააქრო, ნელა მიუახლოვდა ჩარხის წინსაფარს და ვეებერთელა სახელური გადაატრიალა. მძიმედ გადაინაცვლეს ადგილები ნაწილებმა, თითქოს უჭირდათ ფეხის ადგმა. ახლა სხვა დეტალები მოსინჯა. გამოცდილი თვალით აკვირდებოდა იგი ყველაფერს. ხან მოწონების ნიშნად ოდნავ შესამჩნევად დაიქნევდა თავს, ხან რაღაცას გადაუჩურჩულებდა გვერდით მდგომს.

— რას იტყვით, ოსტატო? — ჰკითხა მთავარმა ინჟინერმა წეროძემ.

ეს იყო ქარხნის სახელოვანი ხარატი ავეტის აგაჯანოვი, რომელსაც მდიდარი გამოცდილებისა და ცოცხალი გონების გამო აქ პროფესორს ეძახდნენ. ძან კარგად იცოდა თავისი სიტყვის ფასი და წინდაუხედავად არაფერს იტყოდა. ისიც კარგად იცოდა, რომ ამ ჩარხის სახელმწიფო გამოცდაში მასაც მოუწევდა მონაწილეობის მიღება. ასეთ საქმეში ხომ საბოლოო სიტყვა ხარატს ეკუთვნის.

— კარგი ჩარხი უნდა დადგეს. — დინჯად წარმოთქვა აგაჯანოვმა და უკან დაიწია, რაღაც დეტალს უშვებდა ზევიდან მეამწე, მოერიდა.

ტანმორჩილი გოგონა ჩარხთან მისულიყო, ჯიბის საათის ოდენა ერთადერთ ნათელ და გამჭვირვალე ადგილს აორთქლებდა და გულდაგულ წმენდდა. ქარხნის დირექტორმა კიზიკაძემ თვალი მოჰკრა, გაეღიმა, მთავარ ინჟინერს ხმადაბლა გადაულაპარაკა. თურმე ავტომატიურად დაზეთვის სათვალთვალოსათვის ქარხანას პლასტმასის საჭირო მასალა არ აღმოჩნდა, (რა სიძნელეები არ ხვდებათ ახლის შექმნის დროს). იმ გოგონასათვის — ტექნოლოგ სუსანა ეგიაზაროვასათვის უთხოვნიათ: სთხოვე, იქნებ მამაშენმა გაგვიკეთოსო. მამამისმა მართლაც „იხსნა“ თურმე სუსანა, როგორც გამოცდილმა მესაათემ თვითონ გამოუჩარხა სპილენძის რგოლი და პლასტმასის საფარი. ამიტომ ეფერებოდა ასე სუსანა დიდ მანქანას, რომელშიც მისი პატარა წვლილი ერია.

ვისი შრომა არ იყო ჩაქსოვილი ამ ჩარხში. მარტო მე-9 საამქროს მუშებმა 418 დეტალი დაამზადეს. განსაკუთრებით ისახელეს თავი ცვლის ოსტატმა შუბლაძემ, ტექნოლოგმა მდივანოვმა, მოარავმა ტრუტნევმა, ტექნიკური განყოფილების მუშაკმა ფალავამ.

პირველი ჩარხი „163“ აწყობილია, საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულება განაღდებულია! — უპატაჟეს თბილისელმა ჩარხმშენებლებმა სამშობლოს.

ს. ხარაზიშვილი.

პარტიული ცხოვრება

ღრმად შევისწავლოთ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები და მასალები

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გააჩაღეს მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისათვის. ამჟამად პარტიული ორგანიზაციების ყურადღება იქით არის მიპყრობილი, რომ მთლიანად დაძლიონ პროპაგანდის მოწყვეტა ცხოვრებისაგან, აიყვანონ პროპაგანდისტული მუშაობა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ახალი ამოცანების დონეზე, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ პარტიული განათლების ქსელში ყრილობის გადაწყვეტილებები და მასალები.

მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოდან პარტიული განათლების ყველა ფორმა ორგანიზებულად გადავიდა პარტიის XX ყრილობის ისტორიული დოკუმენტების შესწავლაზე. ამასთან დაკავშირებით მოეწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პროპაგანდისტების რაიონული თათბირები, რომლებზეც განიხილეს პარტიული განათლების ქსელში XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლის ორგანიზაციული და მეთოდური საკითხები. 532 წრესა და პოლიტსკოლაში, 159 თეორიულ სემინარსა და პარტიული განათლების სხვა ფორმებში ამჟამად ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს სწავლობს 14 ათასზე მეტი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი. გარდა ამისა, ამ ისტორიულ დოკუმენტებს დამოუკიდებლად სწავლობს დაახლოებით 24 ათასი ამხანაგი. ახლად შეიქმნა ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შემსწავლელი 73 წრე და 25 თეორიული სემინარი 1.920 მსმენელით. პარტიის XX ყრილობის დოკუმენტებს კომუნისტებთან ერთად დიდი ინტერესით სწავლობენ უპარტიო ამხანაგები.

სტალინის სახელობის ორთქლმავალთაგონშემკეთებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის, კომბინატ „საქნახშირის“, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნისა და სხვ. პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ წრეებსა და თეორიულ სემინარებში ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ პარტიის XX ყრილობის დოკუმენტებსა და მასალებს. კარგად მუშაობენ პროპაგანდისტები და სემინარის ხელმძღვანელები: ი. იზიკოვსკი, გ. ჩაფიძე, პ. ოგანოვი, გ. მატინიანი, ნ. დავითაია, დ. გოგგშვილი, თ. გოლდბაუმი და სხვ. ისინი მეცადინეობაზე ყოველთვის მომზადებული ცხადდებიან, ღრმად ამუშავებენ ძირითად ლიტერატურას, კარგად ეცნობიან დამხმარე ლიტერატურას, ამზადებენ თვალსაჩინო მასალებს (რუკებს, სქემებს, დიაგრამებს, პლაკატებს და სხვ.), ბოლოსამით ადგენენ მეცადინეობის გეგმასა და გადასაცემი თემის კონსპექტს. ამის შედეგად იმ წრეებსა და სემინარებში, სადაც დასახელებული ამხანაგები მუშაობენ, XX ყრილობის მასალების შესწავლა მიმდინარეობს ცოცხლად, საინტერესოდ, მსმენელთა აქტიური მონაწილეობით. პროპაგანდისტები და მსმენელები თეორიას მჭიდროდ უკავშირებენ კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკას, მსჯელობენ მოცემული საწარმოს ან დაწესებულების წინაშე მეექვსე ხუთწლედში დასახულ ამოცანებზე და მათი განხორციელების გზებზე, მოურიდებლად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, ამასთანავე ხელს უწყობენ წარმოების მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას.

ავტოსარემონტო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეში პროპაგანდისტი ი. იზიკოვსკი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლას მჭიდროდ უკავშირებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის, ლენინის სახელობის რაიონის და, რაც მთავარია, თვით ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის წინაშე დასახულ ამოცანებს, წრის მსმენელთა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ამ წრის ბევრი მსმენელი წარმოების მოწინავეთა რიგებში დგას და თავისი რაციონალიზატორული წინადადებებით ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გაუწყვეტელ ამაღლებას. თბილისში კარგად იცნობენ ნოვატორ ხარატს თ. ციმბალს, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ავტომანქანების დეტალების ჩქარსონული დამუშავების საქმეში. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ აგრეთვე წრის მსმენელები, ზეიმაკლები ვ. ავერიანოვი და პ. ნოვოსელცევი, რომლებიც ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ.

ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების დამოუკიდებელი შესწავლის ხაზით. ეს საქმე კარგად არის დაყენებული აბრეშუმაქსოვი ფაბრიკის, ტრესტ „საქნავთის“ და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. მარტში მოეწყო პარტიის თბილისის კომიტეტისა და რაიკომების ლექტორთა ჯგუფების სხდომები, სადაც განხილულ იქნა ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხები. ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდის მიზნით საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების ლექტორთა ძალებით დღემდე წაკითხულია 700-ზე მეტი ლექცია, მათ შორის ბევრი ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის: „სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი კომუნიზმის მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისათვის საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა“, „იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა“, „ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია“ და სხვ. სისტემატურად იკითხება აგრეთვე პოლიტიკური მოხსენებები XX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებზე. ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან და პარტიის XX ყრილობის დელეგატებთან ერთად მოხსენებით გამოდიან საწარმოდაწესებულებათა ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ძველი რევოლუციონერები და სხვ.

საგრძნობლად გაძლიერდა თვალსაჩინო აგიტაცია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებზე. საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში გამოშვებულ იქნა ყრილობისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთები. თბილისის კომიტეტისა და რაიკომების ბიბლიოთეკებში, აგრეთვე მსხვილ საწარმოთა და დაწესებულებათა კლუბებში და ქალაქის მასობრივ ბიბლიოთეკებში მოეწყო XX ყრილობის მასალების გამოფენები. პარტიის 26 კომისრის რაიკომმა რაიონის ცენტრალურ ქუჩებში გამოფინა დიაგრამები, მოაწყო ფოტოსტენდები და მხატვრულად გაფორმებული ვიტრინები, რომლებიც ნათლად ასახავენ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულ დიად სამუშაოთა გეგმას.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა რაიკომების კონტროლი და დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი პროპაგანდისტული მუშაობის დარგში. ყველა რაიკომმა ბიუროს სხდომაზე ან პლენუმზე განიხილა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლის მიმდინარეობა პარტიული განათლების ქსელში.

მაგრამ პარტიის XX ყრილობის მასალების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის განხორციელებული ღონისძიებანი მხოლოდ პირველ ნაბიჯს წარმოადგენენ. რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

საერთოდ პარტიული განათლების მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაძლეული პროპაგანდის მოწყვეტა ცხოვრებისაგან. ზოგიერთი პროპაგანდისტი კმაყოფილდება XX ყრილობის მასალების ზოგადი განმარტებით და არ ამდიდრებს მას ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით, თავს არიდებს მოცემული საწარმოს წინაშე მდგომი პრაქტიკული ამოცანებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ საუბარს, არ რაზმავს მსმენელებს ჩვენი სიძნელეებისა და ნაკლოვანებების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგალითად, 4 აპრილს თბილისის საორთქლმავლო დეპოში სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობაზე პროპაგანდისტი ვ. ახალაია მსმენელებს ესაუბრა ტექნიკური პროგრესის ამოცანებზე მრეწველობაში და ტრანსპორტზე. მან ბევრი ილაპარაკა ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებლობაზე საერთოდ მრეწველობაში და კერძოდ რკინიგზის ტრანსპორტზე, მაგრამ არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ ამასთან დაკავშირებით რა კონკრეტული ამოცანები დგას ამჟამად საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის წინაშე და როგორ შეიძლება მათი განხორციელება.

პარტიული განათლების ქსელში ჯერ კიდევ გვხვდება მეცადინეობის ჩაშლის, გადადებისა და დაგვიანებით დაწყების შემთხვევები, რაც გამოწვეულია პროპაგანდისტის ან მსმენელების გამოუცხადებლობით. მაგალითად, ტყავის მეორე ქარხანაში (პარტბიუროს მდივანი ა. კვანტალიანი) 2 აპრილს წრის მეცადინეობა არ შედგა პროპაგანდისტ ი. ვეფხვაძის გამოუცხადებლობის გამო. საგალანტერიო ფაბრიკაში (პარტბიუროს მდივანი ს. ნიბაზშვილი) 6-დან 27 მარტამდე წრის მეცადინეობა არ ჩატარებულა პროპაგანდისტ თ. ბეზრიდანიას მივლინებაში ყოფნის გამო.

სერიოზული ნაკლოვანებებია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების დამოუკიდებლად შესწავლის დარგში. ზოგიერთი კომუნისტი მხოლოდ ფორმალურად ითვლება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავედ, სინამდვილეში კი საფუძვლიანად არ სწავლობს ყრილობის მასალებს. მაგალითად, ცეკავშირის მუშაკი ნ. ჭიპაშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსი ა. ჩიქოვანი საფუძვლიანად არ მეცადინეობენ.

ყრილობის მასალების დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებისადმი კონტროლისა და დახმარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საორთქლმავლო დეპოს, თბილუნივერსიტეტის № 17 მაღაზიისა და სხვ. პარტიულ ორგანიზაციებს.

ნაკლოვანებები ახასიათებს აგრეთვე ლექციურ პროპაგანდას. ჯერ კიდევ ნაკლებად იკითხება ლექციები ისეთ თემებზე, როგორიც არის „კომუნისტური პარტია კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა“, „მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ“, „ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპი პარტიულ ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია“, „ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია“, „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობა“ და სხვ.

პარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ამოცანაა გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის, კიდევ უფრო გაძლიერონ კონტროლი და დახმარება პირველადი ორგანიზაციებისადმი ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდის საქმეში, მიაღწიონ იმას, რომ ეს ისტორიული დოკუმენტები შეისწავლოს თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა.

ზ. მეგზევიშვილი,
საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი.

თათბირი პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებზე

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტების, კონსულტანტების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და ძირეული პრესის მუშაკების რაიონული თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ვ. თოდუას მოხსენება „რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლის საქმეში“.

სიტყვებით გამოვიდნენ პროპაგანდისტები ბ. ჩიქოვანი, ვ. საჯაია, კ. ხუნტუა, ნაფიჩხოვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ე. ესართია და სხვები.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო აგიტაციის საკითხებზე და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ამოცანებზე ილაპარაკა პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ა. მორგოშიამ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ცანავამ.

მოწინავე აგიტაატორები

ქუთაისის აბრეშუმკომბინატის ძაფსაღები წარმოების მოწინავე აგიტატორები „ა“ ცვლის უფროსი ვ. ხუციშვილი და ლაბორანტი ლ. ძნელაძე სისტემატურად განუმარტავენ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბრიგადების მუშებს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, დაწვრილებით აცნობენ მათ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დიად პერსპექტივებს, მოუწოდებენ ფეიქრებს ახალი საწარმოო გამარჯვებებით უპასუხონ მშობლიური კომუნისტური პარტიის ზრუნვას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ფეიქრები საქმით უპასუხებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ძაფის ამომღებნი მ. კახეთელიძე, ნ. კორძახია, ლ. ბუდნია, გ. ზავალაშვილი, ლ. გვაზავა და სხვები თავდადებით შრომობენ, 107-110 პროცენტით ასრულებენ ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს.

აგიტატორმა მ. ბენიძემ მუშებს გააცნო ძაფსაღები წარმოების მოწინავე ადამიანებს მ. პატარიძის, ლ. ლუშენკოს და სხვათა ნოვატორული შრომის მაგალითები, მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ისინი ახალ ტექნიკას, როგორ იბრძვიან წარმოების მაღალი კულტურისათვის.

აგიტატორმა ილაპარაკა საწარმოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ჩვენს საწარმოში ყველა რეზერვი როდია გამოყენებული, — თქვა მან, — ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ დაზგებსა და მოწყობილობას, არის მათი მოცდენის შემთხვევები და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

აგიტატორები დიდ დახმარებას უწევენ წარმოების ადმინისტრაციას და პარტორგანიზაციას მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებაში, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

ძაფსაღები წარმოების კოლექტივი ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ სათანადო წვლილი შეიტანოს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიადი პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებაში. („კომ.“ კორ.).

აბაშის რაიონში

მტს-ი ეხმარება სკოლებს

პოლიტექნიზაციის ფართოდ დანერგვის საქმეში სკოლებს აქტიურად ეხმარება აბაშის მტს-ი. მტს-ში სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები, სადაც მოსწავლეები იცნობიან ტრაქტორებს, დანადგარებს, სხვადასხვა სახის ძრავებს. მექანიზატორები მოსწავლეებს აცნობენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, ეხმარებიან სკოლებს სახელოსნოების მოწყობაში. მტს-მა რაიონის საშუალო სკოლებს გადასცა სასოფლო-სამეურნეო იარაღები და დანადგარები.

ფართოვდება სავაჭრო ქსელი

რაიონში ყოველწლიურად ფართოვდება სავაჭრო ქსელი. დამთავრდა სასოფლო მაღაზიების შენობების აგება სოფელ ძველ აბაშაში, ონტოფოსა და კეთილარში. რაიონულ ცენტრს შეემატა რესტორანის ახალი შენობა, რომელზეც 400 ათასზე მეტი მანეთი დაიხარჯა.

ტიპური სადგომები პირუტყვისათვის

დამთავრდა მეცხოველეობის ტიპური სადგომების მშენებლობა მეძროხეობის ფერმებისათვის ნორიოს, სეფიეთის, სამიქაოს და სხვა კოლმეურნეობებში. წელს ტიპური სადგომები აშენდება მარნის, ქოლობნის, გეზათის, წყემის, კეთილარის და სხვა კოლმეურნეობებში, სულ 750 სულისათვის.

ახალი მანქანები

მტს-ი ყოველწლიურად ივსება ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით და ტრაქტორებით. შარშან მას შეემატა 9 სხვადასხვა სახის ტრაქტორი და 2 ავტომანქანა. ამჟამად სადგური შეიარაღებულია მძლავრი ტექნიკით, რაც ხელს შეუწყობს გეგმების დაჯაჭარებით და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

დღითიდღე იცვლის სახეს რაიონული ცენტრი აბაშა. ამ უკანასკნელ წლებში აშენდა ბევრი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლი. შარშან ქუჩებისა და ტროტუარების მოასფალტება-მოკირწყვლაზე, ბალებისა და სკვერების კეთილმოწყობაზე და სხვა სამუშაოებზე დაიხარჯა 200 ათას მანეთზე მეტი. წელს რაიონის კეთილმოწყობაზე განზრახულია დაიხარჯოს 260 ათასი მანეთი. კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდება კულტურისა და დასვენების პარკი. აქ აშენდება საზაფხულო კინოთეატრის შენობა.

ი. თოფურია.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა სემინარი

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს იდეოლოგიის კულტურის განყოფილების მეთოდკაბინეტმა ნ. კრუპსკაიას სახელობის საოლქო ბიბლიოთეკაში მოაწყო სამდღიანი სემინარი ოლქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებისათვის. სემინარზე მოისმინეს ლექციათ-მოხსენებები: „კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა ამოცანები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში“, „ლექციური პროპაგანდის ორგანიზაცია XX ყრილობის მასალების მიხედვით“, „კლუბის სცენა“, „მხატვრული კითხვა“ და სხვ.

ლექციები და მოხსენებები წაიკითხეს კულტურის საოლქო განყოფილების გამგემ ე. ჯიოევამ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მეთოდკაბინეტის მეთოდისტმა ი. თულაშვილმა, კულტურის საოლქო განყოფილების სალექციო ბიუროს ლექტორმა ს. მარგიევამ და სხვ.

სემინარზე მოისმინეს აგრეთვე საუბრები მოწინავე სასოფლო ბიბლიოთეკებისა და კლუბების გამგეების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საკდესის განცხადება

ა. წ. 3 მაისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესისა და ინფორმაციის უწყებამ გამოაქვეყნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი იმასთან დაკავშირებით, რომ ბუნდესტაგი განიხილავს დასავლეთ გერმანიაში საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღების კანონპროექტს. ცდილობს რა დაასაბუთოს თავისი ღონისძიებანი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის და, კერძოდ, დასავლეთ გერმანიის 500-ათასიანი არმიის შექმნის საქმეში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ამ მემორანდუმში მიმართავს მტრულ და პროვოკაციულ ჭორებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ამ თავის მემორანდუმში ამტკიცებს, თითქოს „ფედერაციული რესპუბლიკისა და მისი მოკავშირეების ცხოვრების თავისუფალი წყობა საფრთხეშია“ და თითქოს საბჭოთა კავშირი „სამხედრო ძალით ემუქრება თავისუფალ სამყაროს“. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მემორანდუმში შემდეგ ნათქვამია: „როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა განცხადებანი ცხადყოფენ, ისინი არ მოერიდებიან აგრეთვე ატომური იარაღის გამოყენებას... საბჭოთა კავშირის თავდასხმა შეიძლებოდა მომხდარიყო უეცრად და დიდი სიჩქარით. ამის გამო საჭიროა მუდამ მზად ვიყოლიოთ საბრძოლველად შეიარაღებული ძალები“.

როგორც საკდესისათვის ცნობილი გახდა, ეს მტკიცებანი, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი შეიცავს, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებს მიაჩნიათ ბოროტ ცილისწამებად სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის მიმართ. მიმართავს რა საერთაშორისო ურთიერთობაში ასეთ შეუწყნარებელ ხერხებს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, როგორც ჩანს, იმედი აქვს გერმანიის საზოგადოებრიობის წინაშე გაამართლოს რემილიტარიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში ხორციელდება.

იმ დროს, როცა ყველგან იზრდება მისწრაფება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ და ბევრ ქვეყანაში დგამენ ნაბიჯებს, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება შეიარაღების შემცირების შესახებ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აჩქარებს დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნას და კვლავ იცავს გაკოტრებულ „ძალის პოზიციის პოლიტიკას“, როგორც თავისი საგარეოპოლიტიკური კურსის საფუძველს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ასეთი ხაზი აშკარად, ნავარაუდევია იმისათვის, რომ გამწვავდეს ვითარება ევროპაში და გარდუვალად ართულებს მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრას. რაკი არა აქვს რაიმე არგუმენტი იმისათვის, რომ გამართლოს ასეთი პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხთა, მათ შორის გერმანელი ხალხის, მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს დაამახინჯოს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ნამდვილი აზრი და შეცდომაში შეიყვანოს დასავლეთ გერმანიის ფართო საზოგადოებრივი წრეები, რომლებიც, როგორც ცნობილია, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგი არიან.

მაგრამ ასეთ ტაქტიკას წარმატება არ ექნება ამჟამად, როცა საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ინიციატივით მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში. მეორე მხრივ, ყველა ქვეყანაში, მათ შორის დასავლეთ გერმანიაშიც, ძლიერდება იმის შეგნება, რომ არა „ძალის პოზიციისა“ და გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, არამედ პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, შეუძლია უზრუნველყოს ევროპის ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

ცუდად მოეგზავნენ, თესვაში ჩამორჩნენ

ზესტაფონის რაიონში კვლავ გრძელდება საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენა. 10 მაისისათვის რაიონის კოლმეურნეობებს სიმინდის თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 50,2 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩენენ ქვედა საზანოს 25 თებერვლის სახელობის, პირველი სვირის მალენკოვის სახელობის, ცხრაწყაროს მარქსის სახელობის, კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები.

ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მტს-ი მოუმზადებელი შეხვდა საგაზაფხულო ხვნა-თესვას. მას 5 მაისისათვის დამთავრებული არ ჰქონდა ხვნა. კვლავ დაბალია შრომის ორგანიზაცია. თესვის პირველი დღეებიდანვე ტრაქტორები ვერ გამოიყენეს და ხელიდან გაუშვეს კვადრატულ-ბუდობრივად თესვის ხელსაყრელი პერიოდი.

მტს-ში ყველაზე მოწინავედ ი. ცხადაძის სატრაქტორო ბრიგადა მიაჩნიათ, მაგრამ ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ ბრიგადის მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. 19 აპრილს ტრაქტორი, რომელსაც მ. ბოჭორიშვილი მართავდა, პირველი სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დიდი შეფერხებით მუშაობდა. სატრაქტორო ბრიგადაში დაბალ ღონეზე დგას საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ტრაქტორისტები არ იცნობენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. თვით ბრიგადირმა ი. ცხადაძემ არ იცოდა რა ვალდებულება აქვს ნაკისრი მტს-ს ან მის სატრაქტორო ბრიგადას. ტრაქტორისტებმაც არ იციან, თუ რა სამუშაო უნდა შეასრულონ ყოველდღიურად და რა მაჩვენებლებს უნდა მიაღწიონ.

ბევრ კოლმეურნეობაში პირუტყვი ცუდად გამოაზამთრეს და ამის გამო თესვა ფერხდება. სოფელ ზორავეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. შავგულიძე) 60 ულელი ხარიდან მხოლოდ 40 ულელი მუშაობს და მასაც მთელი დატვირთვით ვერ ამუშავებენ საკვების უქონლობის გამო.

ზესტაფონელებმა შარშან სიმინდის მოსავლის გეგმა ვერ შეასრულეს. წელს თუ ასე განაგრძეს მუშაობა, არ გაითვალისწინეს შარშანდელი ნაკლოვანებანი და სასწრაფოდ არ გამოასწორეს ჩამორჩენა, ისინი გურჯაანელებთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ვერ შეასრულებენ.

ლ. ლოლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა ჩაღდება

სოხუმი (საკ. კორ.). აფხაზეთის ასსრ მეჩაიე საბჭოთა მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო არტელების მშრომელები, პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ენერგიულად შრომობენ მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაის ფოთლის მოსაყვანად.

გალის რაიონის მიქოიანის სახელობის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარა ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა და მომზადებული შეხვდა სეზონს. ჩაის მაღალი მოსავლის მიღებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა მეხუთე აგროგანყოფილების კოლექტივმა, რომელსაც აგრონომი ც. ყირმალაშვილი ხელმძღვანელობს. ამ აგროგანყოფილებამ 8 მაისს რაიონში პირველმა დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა და ერთ დღეს სახელმწიფოს ჩააბარა 900 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

კრეფა დაიწყეს აგრეთვე ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, გალის რაიონის სოფლების მზიურის, ნარინჯოვნის, ჭუბურხინჯის, დიბაზურგის კოლმეურნეობებში.

* * *

მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მომზადებული შეხვდა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს. მეჩაიეები უკვე შეუდგნენ შერჩევით კრეფას. **სურათზე:** წინა პლანზე მოწინავე მეჩაიე ლ. ვისოცკაია პლანტაციაში კრეფს ჩაის ფოთოლს.

ფოტო გ. ალპერტისა.

აჭარის კურორტებზე

შავი ზღვის სანაპიროებს კარგახანია გაზაფხული ეწვია. პლაჟებზე უკვე გაჩნდნენ ზღვის მოტრფიალენი, პირველი დამსვენებლები...

აჭარის კურორტებზე სამზადისი ძირითადად დამთავრებულია. კიდევ რამდენიმე დღე, და მარადმწვანე მთების ფერდობებსა და მომხიბვლელ პლაჟებს ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალი კუთხიდან ჩამოსული ათასობით დამსვენებლის მხიარული ხმები აავსებს. წელს აქ დაისვენებს და იმკურნალებს 100 ათასზე მეტი კაცი.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მშრომელთა კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დასვენების საქმეს, გადაუდებელ ამოცანად დასახა ჩვენი კურორტების შემდგომი კეთილმოწყობა, გაფართოება. ამ მხრივ აჭარის კურორტთა სამმართველომ (მმართველი ამხ. ა. ბერიძე) უკვე გასწია გარკვეული მუშაობა. წელს კურორტების კეთილმოწყობასა და კაპიტალურ შეკეთებაზე სამმართველო დახარჯავს 1,5 მილიონ მანეთს.

სწრაფი ტემპით განხორციელდება მაღალმთიან კურორტ ბეშუმის კეთილმოწყობა, გაყვანილ იქნება წყალსადენი, გაუმჯობესდება განათება და რადიომომსახურება. ამ თვეში დამთავრდება კურორტ მთამტირალასაკენ მიმავალი გზის მშენებლობა. ეს კურორტი ბათუმს 20-25 კილომეტრით არის დაშორებული, ზღვის დონიდან 1.200-1.400 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და ზღვისა და მთის საუცხოო ჰავით ხასიათდება. აქვე შენდება დამხმარე ნაგებობანი.

დაწყებულია და უახლოეს დღეებში დამთავრდება კურორტ მახინჯაურის პარკის რეკონსტრუქცია. მოასფალტდა კურორტის ცენტრისაკენ მიმავალი ქუჩები, დაირგო 4 ათასზე მეტი ძირი დეკორაციული მცენარე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, აჭარის კურორტებზე ჯერ კიდევ ბევრი რამ მოუგვარებელია. კეთილმოწყობელია გზები, ქუჩები, კურორტების ცენტრებში შემორჩენილია ზოგიერთი ისეთი ნაგებობა და ფარდული, რომელიც გარეგან სილამაზეს უკარგავს კურორტს და ამავე დროს ანტისანიტარიის ბუდეს წარმოადგენს. ავიღოთ თუნდაც მახინჯაურის ცენტრში არსებული აჭარკოოპკავშირის სასაუზმე ფარდული. გარდა იმისა, რომ ეს ფარდული გარეგნულად მოძველებულ ქოხმახს გვაგონებს, მასში ანტისანიტარიაც არის გამეფებული. იქვე, მის გვერდით აჭარკურორტვაჭრობამ (დირექტორი ამხ. ნ. დოლიძე) 1954 წელს დაიწყო მაღაზიის ორსართულიანი შენობის აგება. დღემდე შენობის პირველი სართულიც არ არის დამთავრებული. მახინჯაურის ცენტრის კეთილმოწყობასა და გამშვერიერებას ხელს უშლის რკინიგზის კუთვნილი ერთსართულიანი ულაზათო სახლი, რომლის აღება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ცალკეულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შექმნილი არ არის კულტურული დასვენებისათვის საჭირო ელემენტარული პირობები, მოუმზადებელნი ხვდებიან საკურორტო სეზონს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ციხისძირის დასასვენებელ სახლში (დირექტორი ა. მუნჯიშვილი) სეზონი ისე დაიწყო, რომ სარემონტო სამუშაოები დამთავრებული არ იყო. ეზო ახლაც ქვით, ხრეშით და ტალახით არის სავსე. აქ უკვე მესამე წელია გრძელდება კლუბისა და სასადილოს ახალი კორპუსის მშენებლობა. დამსვენებლების სამართლიან აღშფოთებას იწვევს ისიც, რომ დასასვენებელი სახლის კორპუსებში წელს რატომღაც გაუქმებულია საპირფარეშოები, რის გამოც დამსვენებლებს ეზოში უხდებათ სიარული. ეს განსაკუთრებით მოუხერხებელია ღამით, რადგან 1 საათიდან აქ ელექტროშუქი აღარა აქვთ. შეუწყნარებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ დასასვენებელ სახლს აჭარკურორტვაჭრობა არ აწვდის კარტოფილს, კომბოსტოს და სხვა ბოსტნეულს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარკურორტვაჭრობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ვერ უძღვება კვების პროდუქტებით დამსვენებელთა მომარაგების საქმეს.

უნდა აღინიშნოს ერთი მეტად აღმაშფოთებელი ფაქტიც. 1954 წელს აჭარკურორტვაჭრობას გადაეცა ქობულეთის სასტუმროს შენობის ნაწილი პანსიონის მოსაწყობად იმ პირობით, რომ აჭარკურორტვაჭრობა მას კაპიტალურად შეაკეთებდა. მაგრამ აჭარკურორტვაჭრობის ხელმძღვანელობას ამისათვის დღემდე არ შეუწუხებია თავი. შენობის ცენტრალურ ნაწილში კარფანჯრები ჩარჩოებიანად არის ჩამოღებული, ვერანდებს ხავსი მოსდებია, ოთახებში ჭერი და იატაკი ჩანგრეულია, კედლებსა და სვეტებს ბათქაში მონგრევია. ახლა ეს შენობა გადაეცა აჭარის კურორტთა სამმართველოს, რომელსაც დიდი მუშაობა მოუხდება მის წესრიგზე მოსაყვანად.

საკურორტო სეზონი ჩაღდება. აჭარის კურორტებს უკვე ეწვია ათასობით დამსვენებელი. მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება. აჭარის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, აჭარის კურორტთა სამმართველომ, რომლის სისტემაში 15 აპრილიდან გადავიდა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, ყველა ღონისძიება უნდა განახორციელონ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მშრომელთა სანიმუშო დასვენებისა და მკურნალობისათვის ყველა პირობის შესაქმნელად.

ა. კუსრაშვილი.
დ. პაიჭაძე.

დაიწყო საკურორტო სეზონი

სურამი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სურამის სანატორიუმში ერთი თვეა დაიწყო ახალი საკურორტო სეზონი.

სანატორიუმი მომზადებული შეხვდა საკურორტო სეზონს. მთლიანად რეკონსტრუირებულია სამედიცინო კაბინეტები, შეძენილია ახალი ხელსაწყოები, ფიზიოკაბინეტში მოეწყო ოთხკამერიანი აბაზანა, ახალი ინვენტარით შეივსო ფუნქციონალურ-დიაგნოსტიკური კაბინეტი, სანატორიუმის კორპუსები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით.

მიმდინარე წლიდან სურამის სანატორიუმში საკურორტო სეზონი გახანგრძლივებულია ორი თვით.

უკრაინელი მეშახტეები სტუმრად ტყიბულელებთან

ტყიბული. (საკ. კორ.). რამდენიმე დღის წინათ ტყიბულელ მეშახტეებს სტუმრად ეწვივნენ უკრაინელი მეშახტეები — სვერდლოვუგოლის ტრესტის № 63 შახტისა და ალექსანდრიაუგოლის ტრესტის № 2/3 შახტის კოლექტივთა დელეგაციები. ტყიბულში მათი ჩამოსვლა და მასპინძლების შეხვედრა ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის შესანიშნავ დემონსტრაციად გადაიქცა.

ნინინის სახელობის შახტში, რომელიც სვერდლოვუგოლის № 63 შახტის კოლექტივს ეჯიბრება, სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით მუშაობას. მათი ყურადღება მიიქცია ტყიბულელ თანამოძმეთა მუშაობას გამოცდილებამ ადგილობრივ რეზერვების გამოვლინებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის განხორციელებამ, მიწისქვეშ დღის სინათლის გამოყენებამ და სხვა გაუმჯობესებამ. აქვე სტუმრები გაეცნენ ჯ. კაკოიაშვილის ცვლას მუშაობას, ესაუბრნენ მეშახტეებს.

ალექსანდრიაუგოლის ტრესტის № 2/3 შახტის კოლექტივის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს მოლოტოვის სახელობის შახტი, რომლის კოლექტივს უკვე ოთხი წელიწადია ეჯიბრებიან, და დაწვრილებით გაეცნენ ტყიბულელი თანამოძმეების მიმდინარე წლის 4 თვის მუშაობის შედეგებს.

შახტების დათვალიერების შემდეგ ტყიბულქვანახშირის ტრესტის სხდომათა დარბაზში გაიმართა ტყიბულელ მეშახტეთა შეხვედრა უკრაინელ თანამოძმეებთან. შეხვედრას ტყვარჩელელ და ახალციხელ მეშახტეთა წარმომადგენლებიც დაესწრნენ. მეექვსე ხუთწლედში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ა. ვარდიშვილმა. იგი გულთბილად მიესალმა ძვირფას სტუმრებს და აღნიშნა, რომ საქართველოს მეშახტეებს მეექვსე ხუთწლედში დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში დიდად დაეხმარები უკრაინელ თანამოძმეთა გამოცდილებასთან გაცნობა და ამ გამოცდილების დანერგვა.

სვერდლოვუგოლის ტრესტის № 63 შახტის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ამავე შახტის მთავარმა მარკშეიდერმა ამხ. ნ. კოლომიიცევმა ტყიბულელებს მოუთხრო პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად შახტის კოლექტივის მუშაობის შესახებ.

საქართველოს მეშახტეებს მიესალმა და თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა ალექსანდრიაუგოლის ტრესტის № 2/3 შახტის დელეგაციის ხელმძღვანელმა სამთო ტექნიკოსმა ს. ტიაგიენკომ.

შეკრებაზე გადაწყდა საქართველოს და უკრაინის მეშახტეებს შორის სოციალისტური შეჯიბრების კვლავ განახლება.

* * *

სურათზე: ტყიბულში ჩამოსულ უკრაინელ მეშახტეთა დელეგაციის ჯგუფი (მარცხნიდან) — გ. აბრეზანოვი, ს. ტიაგიენკო, ა. რევვა, მ. მასიუკი, გ. კარამანი, ნ. კოლომიიცევი.

კ. პაჭკორიას შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი

კირილე ნესტორის-ძე პაჭკორიას შეუსრულდა დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი. იგი ეკუთვნის ხელოვანთა იმ რიცხვს, რომელნიც დაუღალავად იღვწიან ქართული ხალხური სიმღერების შეკრების, დამუშავებისა და პოპულარიზაციისათვის. მთელი რიგი წლების მანძილზე კ. პაჭკორია ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ანსამბლი პაჭკორიას ხელმძღვანელობით დიდი წარმატებით გამოდიოდა მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში. ეს ანსამბლი ამჟამად შედის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შემადგენლობაში.

კ. პაჭკორიას შემოქმედებითი მოღვაწეობა სათანადოდ შეაფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ამ დღეებში ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კ. პაჭკორიას შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო. პაჭკორიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა დოცენტი პ. ხუჭუა.

იუბილარს მიესალმნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

წერილი რედაქციისადმი

მეორე ყურადღება გაღებისა და პარკების კეთილმოწყობას

გაზაფხული ძალაში შევიდა. დადგა თბილი დღეები. მალე დედაქალაქის მშრომელები საღამოობით, თავისუფალ დროს მასობრივად მიაშურებენ დასვენებისა და გართობის კერებს — ბაღებსა და პარკებს.

თბილისში რამდენიმე პარკი და ბაღია. მათ შორის თავისი შესანიშნავი მდებარეობითა და სილამაზით, შეიძლება ითქვას კეთილმოწყობითაც, გამოირჩევა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ფუნიკულორის პლატოზე, რომელიც ბევრ მშრომელს იზიდავს.

სტალინის სახელობის პარკი განსაკუთრებით ბავშვებს უყვართ. ჯანსაღი ჰაერისა და შესანიშნავი მდებარეობის გარდა აქ ნორჩ თაობას იზიდავს მისთვის მოწყობილი საინტერესო გასართობები.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მიმდინარე სეზონისათვის მზადება ადრევე დაიწყო. წესრიგზე იქნა მოყვანილი სასათბურო მეურნეობა, გამოყვანილია 260 ათასამდე ძირი ყვავილოვანი და ხალიჩოვანი მცენარეების ნერგი. მეოთხე აგროუბნის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და წელსვე უნდა დამთავრდეს ფიზკულტურის მოედნის მშენებლობა.

ბევრი რამ კეთდება პარკის კეთილმოწყობისათვის, მაგრამ არქიტექტურული, მხატვრული და დეკორაციული გაფორმება ჯერ კიდევ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. საჭიროა ყვავილოვანი და ხალიჩოვანი მცენარეების ასორტიმენტის გადიდება, მათი ჯიშების გაუმჯობესება. დღემდე მოუგვარებელია პარკის მორწყვის საკითხი. ნარგავთა მოსარწყავად პარკი წყალს იღებს მტკვრიდან წყალსაჭიავი დანადგარების საშუალებით. სარწყავი ქსელის სიგრძე რამდენიმე ათეული კილომეტრია. წყალგამტარი მილები ჟკვე გაცვდა და გამოსაცვლელია. პარკში ერთი აუზია, რაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ხოლო მეორე აუზი, რომელიც მესამე აგროუბნის ტერიტორიაზე იყო აშენებული, გასულ წელს დაინგრა და დღემდე აღდგენილი არ არის. ნარგავთა მორწყვას გააადვილებდა მეორე აგროუბნის ტერიტორიაზე დაახლოებით 2 ათასი კუბმეტრი ტევადობის აუზის მოწყობა. ეს აუზი ამავე დროს წყლის სასპორტო ბაზაც იქნებოდა. პარკი სარწყავ წყალს შეუფერხებლად უნდა იღებდეს.

პარკის მთავარ შენობას სახურავი არა აქვს, რის გამო იგი ზიანდება და თითქმის ყოველწლიურ რემონტს მოითხოვს. განა უმჯობესი არ იქნება, შენობა რომ გადაიხუროს!

პარკის სათხილამურო ბაზას დამატებით სჭირდება თხილამურები და ციგები. ამასთან აუცილებელია მოეწყოს ჩოგბურთის მაგიდა, გაიმართოს სტენდები მუდმივი გამოფენისათვის, აშენდეს დახურული კინოთეატრის შენობა და მოეწყოს პლანეტარიუმი. ყველაფერი ეს არცთუ ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვს, სამაგიეროდ საგრძნობლად გააუმჯობესებს მშრომელთა მომსახურების საქმეს.

დედაქალაქის არც სხვა პარკებსა და ბაღებშია ყველაფერი რიგზე. საერთო ნაკლია მათი სუსტი განათება, სკამების სიმცირე, სასპორტო და საცეკვაო მოედნების უქონლობა, საბავშვო მოედნებზე ინვენტარის ნაკლებობა. ბაღებსა და პარკებში სისტემატურად არ ხდება ბორდიურებისა და მწვანე ნარგავების რემონტი, ზოგან არადამაკმაყოფილებელია გაზონებისა და სკვერების დეკორაციული გაფორმება. დეკორაციული მებაღეობის წამყვანი კულტურა — ვარდი მცირე რაოდენობით არის თბილისის ბაღებსა და პარკებში. არსებობს ვარდის შესანიშნავი, სურნელოვანი ჯიშები, რომლებიც განუწყვეტლივ ჰყვავიან გაზაფხლის დასაწყისიდან ყინვების დადგომამდე. ასეთი ჯიშის ვარდი ბლომად აქვთ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას და თბილისის გამწვანების ტრესტის დელისის მეურნეობას. საჭიროა მისი მასობრივად გამრავლება, დედაქალაქის ბაღებსა და პარკებში დარგვა.

არსებული სასათბურო მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას დეკორაციულ და ხალიჩოვან მცენარეთა ნერგზე. ამიტომ საჭირო იქნებოდა, ჯერ-ერთი, ძლიერი სასათბურო მეურნეობის შექმნა და, მეორეც, ყველა ბაღთან თუ პარკთან ორანჟერიისა და კვალსათბურების გაფართოება და მოწყობა.

თბილისში იგრძნობა დეკორატორმებაღეთა კადრების სიმცირე, ამასთან ნაკლები ყურადღება ექცევა როგორც არსებული კადრების შენარჩუნებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ისე ახალი კადრების აღზრდას. ამ მხრივ მდგომარეობას რამდენადმე მაინც შეამსუბუქებდა დეკორატორ-აგრონომების მივლინება საბჭოთა კავშირის იმ ქალაქებში, სადაც დეკორაციული მებაღეობა მაღალ დონეზე დგას და გამოცდილების გაზიარების დანერგვა, რაც დღემდე არ ხდება.

ბაღებისა და პარკების მშენებლობა, მათი განვითარება და კეთილმოწყობა, მხატვრული, დეკორაციული და არქიტექტურული გაფორმება საბჭოთა ადამიანების გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს უნდა უპასუხებდეს.

აგრონომი ბ. მინდაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჩოხატაურში წვეულება კვლავ მცირდება“

ამ სათაურით „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული იყო, რომ ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებში მკვეთრად შემცირდა ძროხების წველადობა, უზრუნველყოფილი არ არის პირუტყვის გამოზამთრება და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომმა სწორად ცნო გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკა. პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა გაზეთში გამოქვეყნებული წერილის საფუძველზე კოლმეურნეობებში წველადობის მკვეთრი დაცემის მიზეზები, დასახა ღონისძიებები რძის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის. მიღებული ზომების შედეგად წველადობამ კოლმეურნეობებსა და საერთოდ რაიონში საგრძნობლად იმატა.

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება და მისი შემცირების გზები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა ითითხოვენ ჩვეული ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ძეგლებლობის ყველა უბანზე გაუხრელად ხორციელდებოდეს მომპირნეობის რეჟიმი. სამეურნეო მუშაკებმა უნდა შეძლონ გამონახონ და გაანიყენონ წარმოების არსებული რეზერვები, საწარმოთა სიმძლავრენი, სისტემატურად გაუმჯობესონ წარმოების მეთოდები, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და განახორციელონ სამეურნეო ანგარიშიანობა.

ყოველივე ეს შეეხება მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსაც, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს დასაყრდენ პუნქტებს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში ნათქვამია, რომ მტს-ებში დაცულ უნდა იქნას მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი, მნიშვნელოვნად შემცირდეს სახელმწიფოს დანახარჯები მტს-ების სამუშაოთა ნატურალური ანაზღაურების წესით მიღებულ ცენტნერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, მიღწეულ იქნას სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება დაახლოებით 16 პროცენტით.

ამ დავალების შესრულებას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. როგორც ცნობილია, მტს-ების შენახვისა და მშენებლობისათვის სოციალისტური სახელმწიფო დიდძალ სახსრებს ხარჯავს. მარტო 1955 წელს ამ მიზნით გამოყოფილი იყო 32,6 მილიონი მანეთი. დამახასიათებელია, რომ მარტო 3 პროცენტით რომ შემცირებულიყო სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება, დაზოგილი თანხით შეიძლებოდა 10 მილიონი ჰექტარი მიწა მოგვეხნა. გასაგებია, რომ ამ თანხების ეკონომიურად ხარჯვა და სატრაქტორო სამუშაოთა და ნატურასაზღაურის სახით მიღებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება მტს-ების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანაა.

მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი მთლიანად არ მოიცავს მტს-ის მუშაობა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, არც წარმოების ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის დანარიცხებს. პირველ მთგანში შედის ანაზღაურების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გაიცემა ბიუჯეტიდან. საამორტიზაციო ანარიცხები მტს-ში არ არის მტს-ის ფინანსური მეურნეობის თავისებურებათა გამო და, მაშასადამე, იგი არც სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებაში შეაქვთ.

მტს-ებს დიდი რეზერვები აქვთ სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის. ეს რეზერვები გამოვლინებულ უნდა იქნან მტს-ების ძირითადი ამოცანის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საკოლმეურნეო მინდვრებზე მაღალი მოსავლის მიღება და სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების უზრუნველყოფა შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუდმივი პროგრესით, ძველი ტექნიკის ახლით, ხოლო ახლისა უახლესით შეცვლით.

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების წარმადობის ამაღლება. რაც უფრო მაღალია მათი წარმადობა, მით უფრო დაბალია დანახარჯები ერთ ჰექტარ პირობით ნახნავზე.

მტს-ების საწარმოო საქმიანობაში თვითღირებულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან როგორც სატრაქტორო სამუშაოთა, ისე პროდუქციის თვითღირებულება ის საბოლოო მაჩვენებელია, რომელიც ყველაზე სრულად გამოხატავს მტს-ის საწარმოო საქმიანობის ხარისხობრივ მხარეს. ამიტომ მტს-ების მუშაკთა ბრძოლა სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის ნიშნავს სამუშაოთა მაღალი ხარისხისა და პროდუქციის გადიდებისათვის ბრძოლას, რაც ძირითადი პირობაა მტს-ების რენტაბელობის ასამაღლებლად.

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების სტრუქტურაში ისახება შეფარდება მტს-ის ფულად დანახარჯებსა და მის ცალკე სახეებს შორის. ამიტომ თუ გვინდა სწორად ვუხელმძღვანელოთ მტს-ის მუშაობას, საჭიროა ვიცოდეთ სამუშაოთა ერთეულზე ფაქტიური დანახარჯები თვითღირებულების ელემენტების მიხედვით და მტს-ის საქმიანობა წარვმართოთ ისე, რომ არ დავუშვათ სახსრების გადახარჯვა.

მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა და პროდუქციის თვითღირებულება შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან: 1) საწვავი და საცხები მასალა, 2) მანქანების რემონტი, 3) საწარმოო მუშების ხელფასი, 4) მტს-ის პერსონალის ხელფასი და 5) ადმინისტრაციულ-სამმართველო და სამეურნეო ხარჯები.

მტს-ების სამუშაოთა თვითღირებულების სტრუქტურის შესწავლა მტს-ის ხელმძღვანელ მუშაკებს დაეხმარება გამოავლინონ რეზერვები და იბრძოლონ თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის. ცალკეული მტს-ის სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების სტრუქტურის შესწავლა მით უფრო აუცილებელია, რომ არსებობს განსხვავება ცალკეული მტს-ების ზონებს შორის როგორც ჰავის, ისე ნიადაგის პირობების მიხედვით. ამიტომ მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების სტრუქტურაც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. მაგალითად, 1955 წელს საწარმოო-საფინანსო გეგმით ცაგერის მტს-ისათვის განსაზღვრული იყო ერთი ჰექტარი პირობითი ნახნავის თვითღირებულება 211 მანეთი და 66 კაპიკი, მაშინ როდესაც ქედის მტს-ის სატრაქტორო სამუშაოთა ერთი ჰექტარი პირობითი ნახნავის თვითღირებულება 31 მანეთს და 19 კაპიკს არ აღემატებოდა.

მოწინავე მტს-ების მუშაობის გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ტრაქტორების გამომუშავების ამაღლებასა და ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად მცირდება სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება. ამიტომ ტრაქტორების გამომუშავების ამაღლებისათვის ბრძოლა ამავე დროს არის სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დიდი წარმადობის დიზელიანი ტრაქტორების „დტ-54“, „კდ-35“, „ჩტზ-80“ მაქსიმალურად დატვირთვას, რადგან მათ შეუძლიათ ერთ სამუშაო სეზონში გამოიმუშაონ 3-4-ჯერ მეტი, ვიდრე „უნივერსალის“ ან „სხტზ“ მარკის მოძველებულ ტრაქტორებს.

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დიდი შესაძლებლობები მოცემულია საწვავისა და საცხები მასალების მომჭირნეობით ხარჯვაში. როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობაში საწვავი და საცხები მასალების ერთ-ერთ მთავარ მომხმარებელს მტს-ები წარმოადგენენ. ისინი ყოველ წელს მილიონობით ტონა ნავთს, ლიგროინს, დიზელის სათბობს, ბენზინს და სხვ. ხარჯავენ. ყოველი მტს-ის დანახარჯებში საწვავ-საცხებ მასალებს სამუალოდ დაახლოებით 20-25 პროცენტი უჭირავი. საბჭოთა კავშირის ყოველმა მტს-მა რომ საშუალოდ ერთი ტონა საწვავი დაზოგოს, ეს შეადგენდა დაახლოებით 5 მილიონ მანეთს და საშუალებას მოგვცემდა დამატებით ასიგნობათა გამოუყოფლად მოგვეხნა 500 ათასი ჰექტარი ან დავეთესა 2 მილიონი ჰექტარი მიწა.

მიუხედავად ამისა, მრავალი მტს-ი ამას არ ითვალისწინებს და უშვებს საწვავ-საცხები მასალების გადახარჯვას.

ტრაქტორების გამომუშავების ამაღლების ძირითად პირობას და, მაშასადამე, ნავთობის პროდუქტთა დანახარჯების შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას სატრაქტორო პარკის გამოყენების გაუმჯობესება და საათობრივი გრაფიკით მუშაობა შეადგენს. მტს-ებში დახარჯული საწვავ-საცხები მასალების უდიდესი რაოდენობა (80-85 პროცენტი) ტრაქტორებისა და კომბაინების მუშაობზე მოდის. ამიტომ საწვავისა და საცხების მასალების ეკონომიის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრაქტორებისა და კომბაინების მუშაობის სწორ ორგანიზაციას.

საწვავისა და საცხების ხარჯვის ნორმების დაცვა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, მანქანების დროული რემონტი და ტექნიკური მოვლა საწვავისა და საცხები მასალების ხარჯვის შემცირების ძირითადი პირობებია. ამასთან ერთად ზოგიერთ მტს-ში წარმოების პროცესში და საწყობებში ვხვდებით საწვავ-საცხები მასალების დანაკარგებს. ამის მიზეზია მექანიზებული ჩამომსხმელებისა და საზომი ხელსაწყოების უქონლობა. საწვავისა და საცხები მასალების შენახვის მოწესრიგება, მანქანების გამართვა და საწვავის დაღვრა-გაჟუჟყიანების თავიდან აცილება მნიშვნელოვანი პირობებია საწვავ-საცხები მასალების ეკონომიისა და სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის.

საწვავისა და საცხები მასალების დანახარჯთა შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ტრაქტორებისა და კომბაინების ნაკვეთიდან ნაკვეთზე უქმ გადასვლათა შემცირება. მტს-ების ხელმძღვანელებმა ეს სამუშაო ისე უნდა დაგეგმონ, რომ ტრაქტორებს და კომბაინებს არ დასჭირდეთ შორეული გადასვლები.

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებაში საწვავისა და საცხების დანახარჯთა შემცირების მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს აგრეთვე ნამუშევარი ზეთების შეგროვება და რეგენერაცია. ერთი ტონა ნამუშევარი ავტოლისაგან რეგენერაციის შემდეგ მივიღებთ დაახლოებით 500 კილოგრამ სუფთა ავტოლს, 400 კილოგრამ ნავთს და 100 კილოგრამ ნარჩენებს. ეს უკანასკნელი შეიძლება მოხმარებულ იქნას როგორც სათბობი რეგენერაციის დროს. ამ პროდუქტების ღირებულება შეადგენს 680 მანეთს, ხოლო რეგენერაციისათვის იხარჯება 470 მანეთი (1951 წ. ფასებით). ამრიგად, ავტოლის რეგენერაცია კი არ თხოულობს დამატებით დანახარჯებს, არამედ, პირიქით, მტს-ს აძლევს ეკონომიას. ამასთან რეგენერაცია განტვირთავს ტრანსპორტს და ტარას დამატებით გადაზიდვებისაგან და გაზრდის მტს-ის სანედლეულო რესურსებს.

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებაში დიდი ხვედრითი წონა (საშუალოდ 26 პროცენტი) აქვს მანქანების რემონტს.

რემონტის დანახარჯებში კი დიდი ხვედრითი წონა (63 პროცენტი) აქვს სათადარიგო ნაწილებსა და მასალებს. ამიტომ სათადარიგო ნაწილების და რემონტის მასალების ხარჯვას ნორმის მიხედვით და მათი ეკონომიისათვის ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის.

ცუდი ორგანიზაციის გამო რემონტის დაბალი ხარისხი, მანქანების ტექნიკური მდგომარეობისადმი სათანადო კონტროლის უქონლობა იწვევს რემონტთაშორისი ვადების დაოვლევას და რემონტზე სახსრების გადახარჯვას. მაგალითად, ტრაქტორების რემონტის უხარისხოდ ჩატარებისა და პროგრესული კვანძური მეთოდის გამოუყენებლობის გამო გორის მტს-ში 1955 წელს გადახარჯეს 114 ათასი მანეთი, ლანჩხუთის მტს-ში — 26,1 ათასი მანეთი, სამტრედიის მტს-ში — 24 ათასი მანეთი.

ტრაქტორების ცუდი რემონტი იწვევს მათს მოცდენას და სახსრების გადახარჯვას, რაც დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. 1955 წელს მარტო ტექნიკური გაუმართაობის გამო შინდისის მტს-ში 885 ტრაქტორცვლა

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ცვლილებანი რუმინეთის მთავრობის შემადგენლობაში

ბუქარესტი, 10 მაისი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა დანიშნა გეორგე ხოსე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, გაათავისუფლა რა იგი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან. სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნა მარინ სტანკუ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრუ ბირლედიანუ განთავისუფლებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა გეორგე. გასტონ მარინი.

დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის გრძანებულებით დუმიტრუ პეტრესკუ მოხსნილია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტიდან.

უნგრეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი

ბუდაპეშტი, 10 მაისი. (საკდესი). უნგრეთის მინისტრთა საბჭომ მთელი რიგი ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა შრომის კანონთა კოდექსში და ამავე დროს მნიშვნელოვნად გაადვილა სამრეწველო საწარმოთა დირექტორების რწმუნებანი. მინისტრთა საბჭომ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება, რომ ყველა დიდ სამრეწველო საწარმოში შეიქმნას კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური კურსები, რომლებზეც მუშები გაეცნობიან თანამედროვე ტექნოლოგიას, რაციონალიზატორთა წინადადებებს, აგრეთვე შეისწავლიან წარმოების თეორიას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 9 მაისი. (საკდესი). დღეს გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში ორი საკითხი: 1. მოქმედების ერთიანობის განვითარება ალეირში მშვიდობისათვის ბრძოლაში (მომხსენებელი ფრანსუა ბიიუ); 2. პარტიის XIV ყრილობის თეზისების პროექტის განხილვა.

პლენუმის მუშაობა ორ დღეს გასტანს.

გაიხსნა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესია

ბელგრადი, 9 მაისი. (საკდესი). დღეს დღის 11 საათზე გაიხსნა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესია. საკავშირო ვეჩეს და მწარმოებელთა ვეჩეს ცალ-ცალკე სხდომებზე დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს ანგარიში 1955 წლისათვის (მომხსენებელი ე. კარდელი);
2. სამრეწველო, საგარეო ვაჭრობის, სამშენებლო და სატრანსპორტო პალატების წარმომადგენელთა მოხსენებანი;
3. სასოფლო-სამეურნეო მიმოქცევისა და მელიორაციის საკითხთა კომისიის ანგარიში;
4. კანონპროექტი აგრარული რეფორმის კანონის ცვლილებისა და დამატების შესახებ;
5. კანონპროექტი სანიტარული ინსპექციის შესახებ;
6. კანონპროექტი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ალმების შესახებ და სხვა საკითხები.

მამაკაცთა და ქალთა შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის საბჭოთა კავშირის მიერ რატიფიკაციისათვის

1956 წლის 4 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა საერთაშორისო კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომისათვის, თანაბარი ანაზღაურების შესახებ.

ეს კონვენცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი კონვენციაა, რომელიც მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ დღემდე მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურების საკითხში სქესის ნიშნის მიხედვით. ბევრ ქვეყანაში ქალთა თანაბარი ღირებულების შრომას ანაზღაურებენ მამაკაცთა შრომაზე გაცილებით ნაკლებ. კონვენციის შესაბამისად სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და უზრუნველყონ ყველა შრომელთა მიმართ თანაბარი ღირებულების შრომისათვის მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენება.

ამ დღეებში სსრ კავშირის ელჩმა შვეიცარიაში ბ. ი. ერშოვმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დ. მორსს გადასცა სიგელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

როგორც ცნობილი გახდა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი სსრ კავშირის ელჩის სახელზე 5 მაისს გაგზავნილ წერილში, იუწყება რა სარატიფიკაციო სიგელის რეგისტრაციას, წერს: „დარწმუნებული ვარ, რომ შრომის საერთაშორისო კონფერენცია მაღალ შეფასებას მისცემს იმ ღონისძიებებს, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო ამ დიდმნიშვნელოვანი კონვენციის — თქვენი ქვეყნის მიერ დამტკიცებული ამ პირველი კონვენციის რატიფიკაციის უზრუნველსაყოფად. მადლობელი ვიქნებოდი, თუ ინებებდით თქვენი მთავრობისათვის გადაგეცათ ჩემი დიდი მადლობა იმ ინტერესის დადასტურების გამო, რასაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმეს ანიჭებს“.

(საკდესი).

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა

9 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია სახელმწიფო კრების თავმჯდომარის შანდორ რონაის მეთაურობით. დელეგაციასთან ერთად უნგრეთში გაემგზავრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ფერენც მიუნიხი.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრების გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ლებედევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ე. ავხიმოვიჩი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი და სხვა ოფიციალური პირები, მოსკოვის შრომელთა წარმომადგენლები, პრესისა და რადიოს მუშაკები.

გამგზავრების წინ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ შანდორ რონაიმ აეროდრომზე გააკეთა განცხადება.

— ჩვენ, უნგრეთის საპარლამენტო დელეგაციის წევრები, — თქვა მან, — სამშობლოში ვბრუნდებით მას შემდეგ, რაც შევიძინეთ ძვირფასი გამოცდილება. ჩვენ ვიყავით მდინარეების დნეპრისა და ყუბანის ველებზე, შავი ზღვისა და ფინეთის ყურის ნაპირზე, გმირ ლენინგრადში. მოვიარეთ საწარმოები, კოლმეურნეობანი, მშენებლობანი და სიხარულით დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხალხი უმაგალითო აღმავლობით აშენებს კომუნიზმს, იბრძვის მშვიდობისათვის და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, სულით და გულით, გულწრფელად უყვარს თავისი მეგობრები.

ჩვენი ყურადღება, — თქვა შემდეგ შანდორ რონაიმ, — მიიპყრო განვითარების ტემპმა. და ეს ჩვენ ვნახეთ არა მარტო ქარხნებში, კოლმეურნეობებში, მშენებლობებზე, არამედ აგრეთვე ადამიანთა ზრდაში. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმას, თუ რა თავდადებით შრომობს საბჭოთა ხალხი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საბჭოთა საზოგადოება მჩქეფარე პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობს და გამსჭვალულია უდიდესი შემოქმედებითი ძალით. ასეთი აქტივობა მომავლის საწინდარია და ასეთი აქტივობით უნდა განვიმსჭვალოთ ჩვენც კიდევ უფრო მეტ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ჩვენ გვინდოდა კიდევ დავრჩენილიყავით თქვენთან, მაგრამ მოგველის მუშაობა, რომელიც დიდ დამპრავას გაგვიწევს თქვენ. მეგობრობა და ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც დიდ საბჭოთა კავშირში შეგიძინეთ. ამ მეგობრობას ჩვენ შევინარჩუნებთ და შემდგომ განვავითარებთ. იგი მოგვცეს ძალებს მომავლის დიდი ამოცანების შესრულებისათვის. სულით და გულით ვუძღვნი მადლობას საბჭოთა ხალხს სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ჩვენი დელეგაციის მიმართ.

გაუმარჯოს ჩვენი ხალხების მარადიულ ურღვევ მეგობრობას!

ნახვამდის, ძვირფასო მეგობრებო! (საკდესი).

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს საფრანგეთში ყოფნის გამო

დაიწყო საფრანგეთ-იუგოსლავიის მოლაპარაკება

პარიზი, 9 მაისი. (საკდესი). გუშინ პარიზში დაიწყო საფრანგეთ-იუგოსლავიის მოლაპარაკება, რომელშიც საფრანგეთის მხრივ მონაწილეობას იღებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გი მოლე და საგარეო საქმეთა მინისტრი კრისტიან პინო, ხოლო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მხრივ — პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი.

გუშინდელი სხდომის დამთავრების შემდეგ, რომელმაც ორ საათზე მეტს გასტანა, გი მოლემ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითადობის ატმოსფეროში და რომ იგი გაგრძელდება 11 მაისს.

საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა დასძინა, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა უწინარეს ყოვლისა პრობლემები, რომლებიც ეხება საფრანგეთ-იუგოსლავიის ურთიერთობას, აგრეთვე „განიარაღების პრობლემის ახლანდელი ასპექტი“. შემდეგ გი მოლემ განაცხადა, რომ მან გააცნო ტიტოს საფრანგეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ აფრიკაში და, კერძოდ, ალეირში. გუშინდელი სხდომის დასასრულს მოლაპარაკების მონაწილენი შეუდგნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის საერთო პრობლემების განხილვას.

საჯარაქჯორო სამუშაოთა თვითღირებულება და მისი შემცირების გზები

(დასასრული)

გაცდა. ასეთ გაცდენებს კი მოჰყვა ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაო გეგმის შეუსრულებლობა.

ამიტომ ტრაქტორების ტექნიკური მოვლის წესების მკაცრად დაცვა, რემონტის პროგრესული კვანძური მეთოდის დანერგვა, ტრაქტორებისა და სხვა მანქანების შენახვა მათთვის მოწყობილ გარაჟებსა და ფარდულებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის დაცვისა და რემონტის დანახარჯთა და, მაშასადამე, სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების ძირითადი პირობაა.

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებაში მნიშვნელოვანი (20-25 პროცენტი) ხვედრითი წონა აქვს მტა-ების საწარმოო მუშათა ხელფასს. იგი მუდამ იზრდება მუშათა კვალიფიკაციის, სამუშაოთა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და მაღალი ხარისხის გამო. იმ მტს-ში, სადაც გამომუშავების მაღალი მაჩვენებლებია, შესაბამისად მაღალია საწარმოო მუშების ხელფასიც. მაგრამ, მიუხედავად ამ პირობებისა, ზოგიერთ მტს-ში ხშირად ირღვევა ეს წესები და არაკანონიერად არის გამოყენებული სახელმწიფო სახსრები. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს შრომადღეების არასწორად დარიცხვა და გამომუშავების ნორმების ხელოვნურად გადიდება, ამ საქმისადმი მტს-ის ხელმძღვანელობისა და ბუხჰალტერთა კონტროლის არარსებობა.

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებაში დიდი ხვედრითი წონა (30-35 პროცენტი სამუალოდ) აქვს მტს-ის პერსონალის ხელფასს. იგი ინგარიშება არა სამუშაოს ერთეულზე, არამედ მთლიანად მტს-ში. ამიტომ მისი სიდიდე მუდმივი არ არის სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებაში და მით უფრო ნაკლებია, რაც მეტ სამუშაოს შეასრულებს მტს-ი. მაგალითად, 1955 წელს ცაგერის მტს-ს სამუშაო უნდა შეესრულებინა 3.000 ჰექტარზე, ხოლო ქედის მტს-ს — 45,5 ათას ჰექტარზე. იმის გამო, რომ ცაგერის მტს-ის სამუშაოთა მოცულობა მცირე იყო, პერსონალის ხელფასის ხვედრითი წონა სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებაში 76,5 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც ქედის მტს-ის იგივე მაჩვენებელი 17 პროცენტს ძლივს აღწევს. ამიტომ სატრაქტორო სამუშაოთა გადიდებასთან პერსონალის ხელფასის ხვედრითი წონის შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საშტატო განრიგის მტკიცედ დაცვას.

სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის დიდმნიშვნელოვანი პირობაა ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირება. ზოგიერთ მტს-ში ჯერ კიდევ დიდია მიელინების, საფოსტო-სატელეგრაფო და სხვა ხარჯები.

ცნობილია, რომ სატრაქტორო სამუშაოთა წარმატებით შესრულება და გეგმის გადაჭარბებით განაღდება ხელს უწყობს ადმინისტრაციულ-სამმართველო და სამეურნეო ხარჯების შემცირებას და, მაშასადამე, სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებასაც.

სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ანგარიშიანობას მტს-ებში მთლიანად და მის ცალკე რგოლებში (სატრაქტორო ბრიგადები, სარემონტო სახელოსნოები და სხვ.). ამ მხრივ დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული მტს-ის მუშაკებს 1956 წლიდან სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის დაწყებასთან დაკავშირებით.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარე ამ ამოცანის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მტს-ების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის ფართოდ გამოყენებას. მექანიზატორებს შრომის ნაყოფიერების ამაღლების სტიმული რომ შევუქმნათ, სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისა და ერთი ცენტნერი ნატურასაზღაურის პროდუქტზე სახელმწიფოს დანახარჯთა შემცირებისათვის საჭიროა გაბედულად დავნერგოთ და გამოვიყენოთ მტს-ებში სამეურნეო ანგარიშიანობის ნაკადი მეთოდი.

ამასთან ერთად მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მთელი საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მტს-ების საფინანსო მეურნეობის სწორად წარმართვა და ფულად-მატერიალური საშუალებების მოჭირნეობით ხარჯვა. ამ მხრივ დიდი როლი ეკისრება საფინანსო ორგანოებს, რადგან მტს-ების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სისტემატური კონტროლი საშუალებას მოგვცემს დროულად აღმოვაჩინოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები და გამოვავლინოთ შიგამეურნეობრივი რესურსები. საფინანსო ორგანოებმა მტს-ების მუშაკებთან ერთად უნდა განიხილონ ნაკლოვანებები და დასახონ ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის. ასევე დროზე აცნობონ ამის შესახებ ზემდგომ პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს.

მტს-ების მუშაკებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მექანიზაციის ფართოდ დანერგვას საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში.

ამ უდიდესი ამოცანების გადაჭრისათვის ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა დარაზმონ მტს-ის მუშაკები, კოლმეურნეები და უზრუნველყონ უახლოეს წლებში სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

გ. გველესიანი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხთა კომისიის მეშვიდე სესიის შესახებ

სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად მოსკოვში ამა წლის აპრილის დამლევს — მაისის დამდეგს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხთა კომისიის მორიგი სესია.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კომისიამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ორივე ქვეყანას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება.

სესიის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და უნგრეთის სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლობა მეცნიერ მუშაკთა ურთიერთ მივლინების, მეცნიერული შრომების გაცვლის, მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ერთობლივი თათბირების მოწყობის გზით.

საბჭოთა და უნგრელი მეცნიერი მუშაკები 1956 წელს ნაცვალგების პირობებით გაეცნობიან მუშაობას, რასაც ორივე ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ასრულებენ ქვანახშირის მრეწველობის, ჩარხმშენებლობის, ელექტროტექნიკის, ბის დამუშავების, მშენებლობის, ქიმიის, პალეონტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის დარგში.

ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა ორგანიზაციები უნგრეთს გადასცემენ ტექნიკურ დოკუმენტაციას, რაც უნგრელ სპეციალისტებს აინტერესებთ: მასალებს სულფოქვაბნახშირების კვლევის დარგში, სამრეწველო მოწყობილობის. სათბობის ანარატურის წარმოების სამუშაო ნახაზებს, აგრეთვე სხვა დოკუმენტაციას მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანიზაციები უნგრელ სპეციალისტებს გააცნობენ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს ენერგეტიკის, ქვანახშირის ამოღების, რადიოტექნიკის, სამსხმელო საქმის, მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს გადასცემს ელექტრომავლების, თბომავლების, ცალკეულ სახეობათა მეტალურგიული მოწყობილობის წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას, აგრეთვე გააცნობს საბჭოთა სპეციალისტებს უნგრეთის მრეწველობა, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს.

სესიის პერიოდში უნგრელმა მეცნიერებმა გააკეთეს მოხსენებანი იმ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხებზე, რომლებიც უნგროეთში იყენებენ ლუმინესცენციური ლამპების წარმოებისას, აგრეთვე მოხსენებანი მთის პირობებში მომუშავე დიზელიანი ავტომობილების კონსტრუირების დარგში და სამრეწველო სიხშირის ერთფაზიანი დენით რკინიგზების ელექტროფიკაციის დარგში მიღწევების შესახებ.

მეშვიდე სესიის მუშაობა მიმდინარეობდა მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს კომისიის უნგრული ნაწილის წევრები გაეცნენ მოსკოვისა და ლენინგრადის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

სპორტის ამბები

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი

10 მაისს თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება.

შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე და პიონერთა სასახლის მოჭადრაკე თ. ჟორჟოლაძე. ამავე სასახლის პიონერებმა ასპარეზობის მონაწილეებს თაიგულები გადასცეს. შემდეგ გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები ასეთია: 1. ტ. მიხაილოვა (ლენინგრადი), 2. ტ. სტრანდსტერმი (მოსკოვი), 3. ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი), 4. მ. ტოგონიძე (თბილისი), 5. ბ. ვაისბერგი (ალეკი), 6. რ. ანიშჩენკო (სვერდლოვსკი), 7. მ. კარტული (ტალინი), 8. ი. გეორგინელი (დონის როსტოვი), 9. გ. ნევედომსკაია (ოსიპოვიჩი), 10. ს. როოტარე (ტალინი), 11. ლ. ხაჭაპურიძე (თბილისი), 12. ა. გრუდზინსკაია (ტაშკენტი), 13. კ. სილვესტრი (ტაშკენტი), 14. ტ. ნეკრასოვა (მინსკი), 15. ნ. მატვე